

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის სხდომის

ოქმი №5

2022 წლის 5 მაისი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე - ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე -
ომარი შველიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის).
მუნიციპალიტეტის მერიის ქონების სამსახურის უფროსი-ივანე წიქარიშვილი.

-1-

მოისმინეს:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 სექტემბრის №გ-93.93212465 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს: ივ.წიქარიშვილი, ო. შველიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მომხრე-7, წინააღმდეგი-4.

გადაწყვიტეს:

შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 სექტემბრის №გ-93.93212465 განკარგულების „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ დანართი №1-ში და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო გეგმა ჩამოყალიბდეს ახალი დანართი №1-ის შესაბამისად.

-2-

მოისმინეს:

„საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის №14 -ი განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს: ივ.წიქარიშვილი, ო. შველიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მომხრე-7, წინააღმდეგი-4.

გადაწყვიტეს:

შევიდეს ცვლილება „საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის №14-ი განკარგულების დანართში, კერძოდ: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

-3-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

/მომხს: ივ.წიქარიშვილი, ო. შველიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მომხრე-7, წინააღმდეგი-4.

გადაწყვიტეს:

გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - რომელიც მდებარეობს სოფელ ჰერეთისკარში (ს/კ54.19.63.194), შემდგომში სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

-4-

მოისმინეს:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 მარტის №13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს: ივ.წიქარიშვილი, ო. შველიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მომხრე-11, წინააღმდეგი-0.

გადაწყვიტეს:

შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 მარტის №13 განკარგულებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ კერძოდ: განკარგულების პირველი მუხლიდან ამოღებული იქნას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ საქობოში /საკ.კოდი:54.07.56.049/ მდებარე საბავშვო ბაღი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

-5-

მოისმინეს:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის № გ-93.93211839 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხს: ივ.წიქარიშვილი, ო. შველიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მომხრე-11, წინააღმდეგი-0.

გადაწყვიტეს:

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის №გ-93.93211839 განკარგულება.

-6-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.


/მომხს: ივ.წიქარიშვილი, ო. შველიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მომხრე-11, წინააღმდეგი-0.

გადაწყვიტეს:

მიეცეს თანხმობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ლაგოდეხში, ქიზიყის ქუჩა ქ. #25-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 47,68 კვ.მ ფართი/ს.კ.54.01.54.032.01.505/ სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით, გადასცეს ა(ა)იპ „ლაგოდეხის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრს“ /ს.ნ. 433109192/.

ეკონომიკისა და ქონების მართვის
კომისიის თავმჯდომარე


ომარი შველიძე